



### მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

#### მიმართულებები:

- ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური)
- მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)
- ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური)
- გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)
- სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
- მუსიკა

სწავლების ენა: ქართული

სწავლის ხანგრძლივობა: ერთი სასწავლო წელი

კრედიტების რაოდენობა: 60 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ ბერია

საკონტაქტო ინფორმაცია: 577315594; z.beria@sangu.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა ორენოვანი სერთიფიკატი ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესაბამისი დანართით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №142/ნ ბრძანებით დადგენილი პირობების დაცვით.

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრას და პროფესიაში ახალი კადრების შემოსვლას, მოამზადოს მასწავლებელი, რომელიც აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალობას და შესაბამისად, იყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს, საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს, შეუძლია საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა და თანამშრომლობა კოლეგებთან, პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისათვის.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს. პროგრამის თითოეულ მოდულში საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები განაწილებულია ზოგად პროფესიულ სასწავლო კურსებსა და საგნის სწავლების მეთოდის კომპონენტს შორის, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს საგნის სწავლების მეთოდის საკითხებს და ჩაშენებულ პრაქტიკას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლებისა და განვითარების პედაგოგიურ ფსიქოლოგიური საფუძვლების და სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების, ინკლუზიური განათლების საკითხების შესწავლას და შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარებას, ასევე, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის უნარების ჩამოყალიბებას.

დაწყებითი (1-6), საბაზო და საშუალო (7-12 კლასების) შესაბამისი საგნის სწავლების მეთოდების მოდულში (20 კრედიტი) სტუდენტები შესავალ კურსში ათვისებულ სწავლების და შეფასების საკითხების ტრანსფერს ახდენენ საგნობრივი მეთოდის ძირში, კონკრეტული საგნის სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით და აღრმავებენ საკითხებს თეორიული და პრაქტიკული სწავლებით, ამასთან, ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის მეშვეობით ხორციელდება სწავლის შედეგების განმტკიცება.

### საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საგნის გამოცდის ჩატარების წესით გათვალისწინებული საგნის გამოცდა, შერჩეული მოდულის მიმართულებით.

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი**

საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, პირს უფლება აქვს, გააკეთოს განაცხადი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე. შეფასების პროცესი ითვალისწინებს სამოტივაციო წერილის შეფასებას, კომპიუტერული უნარ-ჩვევების შემოწმებას და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების გავლას. კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ცოდნა და ინფორმირებულობა არსებული გამოწვევების შესახებ, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია მასწავლებლის როლის და შესაძლებლობების შესახებ, წვლილი შეიტანოს სისტემის განვითარებაში.

სამოტივაციო წერილის განხილვის და გასაუბრების შემდეგ კომისია აფასებს კანდიდატს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების და შეფასების სისტემის გათვალისწინებით:

<b>კრიტერიუმი</b>	<b>სრულად აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს 3 ქულა</b>	<b>მეტწილად აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს 2 ქულა</b>	<b>ნაწილობრივ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს 1 ქულა</b>	<b>ვერ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმს 0 ქულა</b>
კანდიდატი აღწერს და ასაბუთებს მასწავლებლის პროფესიის მიზანს				
კანდიდატს აქვს მკაფიო ხედვა, რა ცოდნისა და უნარჩვევების განვითარება სჭირდება და აკავშირებს მას საგანმანათლებლო პროგრამასთან				
კანდიდატი ასაბუთებს მასწავლებლობის სურვილს				
საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის და გამოწვევების ცოდნა				
არგუმენტირებული მსჯელობის და პრობლემის გადაწყვეტის უნარი				
სიახლეებისადმი მზაობა და მიმღებლობა				
კომპიუტერული უნარ-ჩვევები				

კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება რანჟირებული სიის საფუძველზე, პროგრამაზე (შესაბამის მოდულზე) მისაღები ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით. ამასთან, რანჟირების დოკუმენტში მოსახვედრად აუცილებელი პირობაა, კანდიდატს თითოეულ კრიტერიუმში ჰქონდეს არანაკლებ 1 ქულა და ჯამურად დააგროვოს არანაკლებ 10 ქულა.

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

### სწავლა-სწავლების ფორმები და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, გამოიყენება სწავლების შესაბამისი ორგანიზების ფორმები და მეთოდები- ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სიტუაციური ქეისების განხილვა, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. პროგრამაში გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის მრავალფეროვანი მეთოდები და ხერხები. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები კონკრეტულად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით, კურსის მიზნების და კურსის ფარგლებში განსაზღვრებული კომპეტენციების გათვალისწინებით.

პროგრამის კომპონენტები, ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, სასწავლო კურსებს და პრაქტიკულ კომპონენტს. პრაქტიკის მიზნების მისაღწევად, მისი განხორციელება უზრუნველყოფილია წინასწარ შემუშავებული სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად.

### სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის დემონსტრირება პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების, მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასების და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის საკითხებზე და აქვს აღნიშნული ცოდნის საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი:

- ქმნის პოზიტიურ, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს და მართავს კლასს
- სასწავლო პროცესის (მათ შორის, კლასგარეშე აქტივობების) დაგეგმვის და წარმართვისას იყენებს დარგის თანამედროვე მიღწევებს, სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს და თითოეული მოსწავლის უნიკალობისა და მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარების საჭიროების გათვალისწინებით - სწავლების შესაბამის სტრატეგიებს
- მოსწავლეთა შეფასების ძირითად პრინციპებზე ორიენტირებით იყენებს სასწავლო მიზნის შესაბამის შეფასების ფორმებს, მრავალფეროვან სტრატეგიებს/ინსტრუმენტებს და ეფექტიან განმავითარებელ შეფასებას/უკუკავშირს
- საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს და საკუთარ სასკოლო პრაქტიკას
- თანამშრომლობს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან პრობლემის ერთობლივად გადაჭრის თითოეული მოსწავლის, საკუთარი პროფესიული და სკოლის განვითარებისთვის
- საქმიანობისას იცავს მასწავლებლის პროფესიულ ეთიკას
- ანალიზის და სინთეზის, ინფორმაციის მართვის, პრობლემის გადაჭრის, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის, ციფრული კომპეტენციებისა და რეფლექსიის სათანადოდ გამოყენებით უზრუნველყოფს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში სიანდლების დანერგვას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციებია:**

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

- ანალიზისა და სინთეზის უნარი - შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. შეუძლია ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომა, სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა;
- ინფორმაციის მართვა - შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება. პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი.

### სტუდენტის მიღწევების შეფასება

სტუდენტი კრედიტს მოიპოვებს მხოლოდ სასწავლო კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით. აღნიშნულისათვის, თითოეული სასწავლო კომპონენტის მიზნებისთვის შესაბამისი სილაბუსებში გათვალისწინებულია შესაბამისი შეფასების მეთოდები და შეფასების რუბრიკები.

უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, რაც მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და კომპონენტი თავიდან აქვს გასავლელი.

საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს, შუალედური შეფასების ხვედრითი წილი 60, ხოლო დასკვნითი შეფასების - 40 ქულაა.

შუალედური შეფასების ფორმების და კომპონენტების კონკრეტულად განსაზღვრა წარმოადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის აკადემიური თავისუფლების ნაწილს და ინდივიდუალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შესრულებული აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული პირობები.

### დასაქმების სფეროების აღწერა

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი**

მასწავლებლის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით, კურსდამთავრებულებს უფლება ექნებათ, იმუშაონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესაბამისი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლად, ასევე, არაფორმალური განათლების სექტორში, სწავლების, წვრთნის, ფასილიტაციის თუ საორგანიზაციო მიმართულებით, სადაც კურსის ფარგლებში განვითარებული კომპეტენციებია მოთხოვნილი.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

საგანმანათლებლო პროგრამა არ წარმოშობს სწავლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

**საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალური რესურსი**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდით, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სტუდენტების ინტერესებთან.

სააუდიტორიო სივრცე აღჭურვილია ე.წ. ჭკვიანი დაფებით და სხვა აუცილებელი საშუალებებით, რომლის მეშვეობით პროგრამის სტუდენტებს საშუალება ექნებათ, მოახდინონ უახლესი ტექნიკური საშუალებების ინტეგრირება სასწავლო პროცესთან.

სასკოლო პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ სკოლებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები

**დანართი №1**

**სასწავლო გეგმა**

№	პროგრამის კომპონენტი	წინაპირობები	კომპონენტის განმახორციელებელი	შემოდგომა	გაზაფხული
<b>ყველა მოდულისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები</b>					
1	განვითარებისა და სწავლების თეორიები	წინაპირობა არ აქვს	ნინო კობალაძე	6	

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

2	სწავლება და შეფასება	წინაპირობა არ აქვს	მიხეილ ტეფნაძე	12	
3	განათლების სისტემის სტრუქტურა და პოლიტიკა	წინაპირობა არ აქვს	მიხეილ ტეფნაძე	6	
4	პრაქტიკული კვლევა	წინაპირობა არ აქვს	დავით ლიპარტელიანი		6
5	ინკლუზიური განათლება	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	ნათია ნიაური		4
<b>საგნის/საგნობრივი სწავლების მეთოდის კურსი, ჩამუშავებული პრაქტიკით<sup>1</sup></b>					
6	ქართულის (1-6) სწავლების მეთოდის (ჩამუშავებული პრაქტიკით)	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	მაია ინასარიძე		20
7	მათემატიკის (1-6) სწავლების მეთოდის (ჩამუშავებული პრაქტიკით)	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	ქეთევან ცერცვაძე		20
8	ბუნებისმეტყველების (1-6) სწავლების მეთოდის (ჩამუშავებული პრაქტიკით)	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	მარინე ჭელიძე		20
9	გეოგრაფიის სწავლების მეთოდის (7-12)	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	მეგი ტალახაძე		20
10	ისტ-ის სწავლების მეთოდის (ჩამუშავებული პრაქტიკით)	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	ნინო მარდიშვილი		20
11	სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდის (ჩამუშავებული პრაქტიკით)	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	გიორგი გახელაძე		20
12	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდის (ჩამუშავებული პრაქტიკით)	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	ირინე ჯორჯაძე		20

<sup>1</sup> სტუდენტი მოდულზე დაიშვება ჩარიცხვის ბრძანების შესაბამისად.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

13	მუსიკის სწავლების მეთოდთა (ჩაშენებული პრაქტიკით)	განვითარებისა და სწავლების თეორიები; სწავლება და შეფასება	მარინა ლობჯანიძე		20
<b>არჩევითი სასწავლო კურსები<sup>2</sup></b>					
14	თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში	წინაპირობა არ აქვს	დავით ლიპარტელიანი		6
15	დემოკრატიული განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ინტეგრირებული სწავლების პრინციპები	წინაპირობა არ აქვს	მინელი ტეფნაძე		6
16	მასწავლებლისათვის აქტუალური ფსიქოლოგიური საკითხები	წინაპირობა არ აქვს	ნინო კობალაძე		6

<sup>2</sup> სავალდებულოა არანაკლებ 1 არჩევითი სასწავლო კურსის გავლა



პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

სწავლის შედეგი	სწავლება და შეფასება	განათლების სისტემის სტრუქტურა და პოლიტიკა	მასწავლებლის სათვისაქტუალური ფსიქოლოგიური საკითხები	პრაქტიკული კვლევა	სწავლისა და განვითარების თეორიები	ინკლუზიური განათლება	საგნის სწავლების მეთოდიკა (ჩამოწვეული პრაქტიკით)
ქმნის პოზიტიურ, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს და მართავს კლასს	1	1	1		1	1	2-3
სასწავლო პროცესის (მათ შორის, კლასგარეშე აქტივობების) დაგეგმვის და წარმართვისას ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს, სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს და თითოეული მოსწავლის უნიკალობისა და მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარების საჭიროების გათვალისწინებით - სწავლების შესაბამის სტრატეგიებს	1	1	1		1	1	2-3
მოსწავლეთა შეფასების ძირითად პრინციპებზე ორიენტირებით იყენებს სასწავლო მიზნის შესაბამის შეფასების ფორმებს,	1	1			1	1	2-3

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

მრავალფეროვან სტრატეგიებს/ინსტრუმენტებს და ეფექტიან განმავითარებელ შეფასებას/უკუკავშირს							
საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს და საკუთარ სასკოლო პრაქტიკას	1	1		1		1	2-3
თანამშრომლობს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან პრობლემის ერთობლივად გადაჭრის თითოეული მოსწავლის, საკუთარი პროფესიული და სკოლის განვითარებისთვის	1	1	1	1			2-3
საქმიანობისას იცავს მასწავლებლის პროფესიულ ეთიკას	1	1					2-3
ანალიზის და სინთეზის, ინფორმაციის მართვის, პრობლემის გადაჭრის, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის, ციფრული კომპეტენციებისა და რეფლექსიის სათანადოდ გამოყენებით უზრუნველყოფს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში სიახლეების დანერგვას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.	1			2			2-3

**საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

**სწავლის შედეგების შეფასების პროცესის აღწერა**

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტის პორტფოლიოს შეფასება. ამ მიზნით, სტუდენტი ქმნის ინდივიდუალური ნამუშევრების კრებულს, რომელიც დოკუმენტირებულია სწავლის შედეგების მიხედვით. თითოეული სწავლის შედეგის შერჩევისას სტუდენტი ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგის შინაარსს და არჩევს ნამუშევარს, რომელიც უკეთ ადასტურებს სწავლის შედეგის მიღწევას. ამასთან, სტუდენტს უფლება აქვს, დახვეწოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე შესრულებული ნაშრომი.

პორტფოლიოსთან ერთად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს რეფლექსია, რომელშიც აღწერს მუშაობის პროცესს, მცდელობას და შედეგს - მიღწევებს საგანმანათლებლო პროცესში, სახავს სამომავლო პროფესიული განვითარების გზას.

პორტფოლიოს დაცვისათვის საანგარიშო პერიოდი ემთხვევა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებას.

პორტფოლიოს შეფასების მიზნით, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება კომისია, რომელიც აწარმოებს გასაუბრებას სტუდენტთან.

ქვემოთ შემოთავაზებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შესაბამისი კომპონენტი/კომპონენტები, შეფასების ფორმა, შეფასების მეთოდი და მტკიცებულებები შერჩეულია საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის მიერ, იმ მოლოდინით, რომ სტუდენტი შესაბამის კომპონენტში/კომპონენტებში განამტკიცებს სწავლის შედეგს და ყველაზე უკეთ შესაბამისი მტკიცებულებებით არის შესაძლებელი სწავლის შედეგის დანახვა. ამასთან, სტუდენტი თავისუფალია პორტფოლიოს წარმოებისას, შეხედულებისამებრ დაამატოს ნაშრომი, რაც ასევე უნდა განიხილოს კომისიამ.

**სამიზნე ნიშნულები:**

კომისია თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონეს აფასებს შეფასების ოთხდონიანი შკალის გამოყენებით:

- სწავლის შედეგი მიღწეულია
- სწავლის შედეგი მეტწილად მიღწეულია
- სწავლის შედეგი ნაწილობრივ მიღწეულია
- სწავლის შედეგი არ არის მიღწეული

სამიზნე ნიშნულის სახით, თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოლოდინია, დადასტურდეს არანაკლებ 80%-ის შემთხვევაში სწავლის შედეგის მიღწევა უმაღლესი ხარისხით, ხოლო არაუმეტეს 20%-ის შემთხვევაში, სწავლის შედეგი შეიძლება მიღწეული იქნეს მეტწილად.

იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სამიზნე ნიშნულებიდან განსხვავებული (არასაკმარისად კარგი) შედეგი წარმოჩინდა, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის საჭიროების საკითხის განხილვა.

სწავლის შედეგი	კომპონენტი/კომპონენტები	მტკიცებულება
----------------	-------------------------	--------------

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

1	ქმნის პოზიტიურ, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს და მართავს კლასს	საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდика (ჩამენებული პრაქტიკით)	სტუდენტის რეფლექსია; სტუდენტის მიერ მომზადებული გაკვეთილის გეგმა; ჩატარებული გაკვეთილის შეფასების შედეგები
2	სასწავლო პროცესის (მათ შორის, კლასგარეშე აქტივობების) დაგეგმვის და წარმართვისას ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს, სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს და თითოეული მოსწავლის უნიკალობისა და მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარების საჭიროების გათვალისწინებით - სწავლების შესაბამის სტრატეგიებს	საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდика (ჩამენებული პრაქტიკით); ინკლუზიური განათლება	სტუდენტის რეფლექსია; სტუდენტის მიერ მომზადებული გაკვეთილის გეგმა; მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა; ჩატარებული გაკვეთილის შეფასების შედეგები
3	მოსწავლეთა შეფასების ძირითად პრინციპებზე ორიენტირებით იყენებს სასწავლო მიზნის შესაბამის შეფასების ფორმებს, მრავალფეროვან სტრატეგიებს/ინსტრუმენტებს და ეფექტიან განმავითარებელ შეფასებას/უკუკავშირს	საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდика (ჩამენებული პრაქტიკით)	სტუდენტის რეფლექსია; სტუდენტის მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკა; ჩატარებული გაკვეთილის შეფასების შედეგები
4	საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს და საკუთარ სასკოლო პრაქტიკას	საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდика (ჩამენებული პრაქტიკით)	სტუდენტის მიერ შესრულებული რეფლექსია
5	თანამშრომლობს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან პრობლემის ერთობლივად გადაჭრის თითოეული	საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდика (ჩამენებული პრაქტიკით); პრატიკული კვლევა	სტუდენტის მიერ შესრულებული რეფლექსია პრაქტიკის კვლევის ანგარიში

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

	მოსწავლის, საკუთარი პროფესიული და სკოლის განვითარებისთვის		
6	საქმიანობისას იცავს მასწავლებლის პროფესიულ ეთიკას	საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდика (ჩამენებული პრაქტიკით); პრატიკული კვლევა	სტუდენტის მიერ შესრულებული რეფლექსია პრაქტიკის კვლევის ანგარიში
7	ანალიზის და სინთეზის, ინფორმაციის მართვის, პრობლემის გადაჭრის, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის, ციფრული კომპეტენციებისა და რეფლექსიის სათანადოდ გამოყენებით უზრუნველყოფს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში სიახლეების დანერგვას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.	საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების მეთოდика (ჩამენებული პრაქტიკით); პრატიკული კვლევა	სტუდენტის მიერ შესრულებული რეფლექსია პრაქტიკის კვლევის ანგარიში

**საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია**

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა დაკავშირებულია თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან და პროგრამის სტრუქტურას კონტინგენტთან და გამომდინარეობს შემდეგი მიდგომებიდან:

- საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ 50 სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი აფილირებული აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობის არანაკლებ 51%-ის განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალით.

პროგრამაში საკონტაქტო საათების ორგანიზების ზოგადი წესი:

- სალექციო ფორმატით საკონტაქტო საათის ორგანიზებისას სტუდენტთა ჯგუფების ფორმირებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა;
- პრაქტიკული მუშაობისა და სასემინარო მუშაობისათვის ჯგუფში სტუდენტთა საშუალო, რეკომენდებული რაოდენობაა 30 სტუდენტი;

სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი, შესაბამისი კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, განსაზღვროს გამოსაყენებელი სწავლების მეთოდის შესაბამისად სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. ასეთის არსებობის, შემთხვევაში სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობის შესახებ ჩანაწერი კეთდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.